# ივერია

სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892 1877—1892

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


გაზეთი „**ივერია**“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

---

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან განიზრახა ბეჭდვა პატარა-პატარა წიგნისა ხალხში გასავრცელებლად, რაისათვისაც იგი იწვევს მსურველთ ხელნაწერი წარმოუდგინონ „საზოგადოების“ გამგეობას პირველ იანვრამდე 1893 წლისა „საზოგადოების“ კანცელარიაში (ტფილისის ბანკის ქარვასლა, №№ 125 და 126) ან ფოსტით ამ ადრესით, ან პირადად დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. რომელ ხელნაწერსაც-კი „გამგეობა“ მოიწონებს, შემადგენელს მისცემს

## ჯილდოს.

პირველის ხარისხის ჯილდოა 50 მან., მეორისა—40 მან., მესამისა—25 მ.

ხელნაწერი უნდა იყოს არა უდიდეს 2 ბეჭდურის, თაბახისა 50—60 გვერდისა (ფორმატის გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ „საზოგადოების“ კანცელარიაში). ეს შეადგენს დაახლოვებით 4—5 თაბახს უბრალო საწერ ქაღალდისას, შუათანა ხელით დაწერილს. ხელნაწერი უნდა იყოს მდაბიო, კარგის ქართულის ენით დაწერილი, და უნდა შეეხებოდეს ან ისტორიას, ან ბუნების-მეტყველებას, ან შეადგენდეს მოთხრობას ორიგინალურს ანუ თარგმნილს. შემადგენელმა ან ავტორმა ხელნაწერი უნდა წარმოადგინოს ორ პაკეტში შემდეგის წესით: ერთ პაკეტში უნდა იყოს ხელნაწერი რაიმე ნიშნით (მაგ ანდაზა, გამოცანა), მეორეში სახელი და გვარი ავტორისა და იგივე ნიშანი, რომელიც პირველს პაკეტში იქნება. გამგეობა მეორე პაკეტს მხოლოდ მაშინ გახსნის, თუ ხელნაწერს მოიწონებს სრულად, თუ პირობით (შესწორებით, ან შემოკლებით); თუ გამგეობა ხელ-ნაწერს დაიწუნებს, უკანვე დაუბრუნებს ნიშნის წარმომდგენელს.

გამგეობა მაშინვე შეუდგება მოწონებულის ხელნაწერის ბეჭდვას და პირველი გამოცემა 1,200 ეგზემპლიარისა „საზოგადოების“ კუთვნილება იქნება.

მსურველთ შეუძლიანთ კანცელარიაში გაიცნონ სია იმ წიგნებისა, რომელიც სასურველია გადმოკეთდეს, ან გადმოითარგმნოს.

(10—0—1)

---

ტფილისის ქალაქის მილის წყალის კანტორა აცხადებს: რადგან სახლებში მილის წყალის გაყვანის მსურველთა რიცხვი გამრავლდა, ქვემო მოხსენებულს ქუჩებზე, მილების განსამატებლად, და ჩვეულებრივის ტარიფით გარდასახადის შემოსავალმა იქამდე აღიმატა, რომ საკმარისია დანახარჯის აღსადგენად, ამიტომ ქალაქის გამგეობამ 1 თებერვალს დაადგინა: პირველ აპრილიდგან ვედრო წყალში $^1/_5$ კ. გამოერთმევათ აბონენტებს შემდეგის ქუჩებისა: ალექსანდრესი, ავჭალისა, ძველ ინსტიტუტისა, ველიამინოვისა, დიდის მრუდე ქუჩისა აბას-აბასის მეიდნითურთ, ანდრეევისა, ვარანცოვის წყლის პირისა, ერმოლოვისა, ათთიაქისა, ლორის-მელიქოვისა, პუშკინისა, ძველ-არსენალისა, გეიდენოვისა, ამაღლებისა, სალდათების ვიწრო ქუჩისა და სურბ-კარაპეტის აღმართისას. (3—2)

---

ტფილისი, 28 თებერვალი

საკვირველად აიწეწ-დაიწეწა სამთა მოკავშირე სახელმწიფოთა შინაური საქმეები. გერმანიასა, ავსტრი-ვენგრიასა და იტალიაში უცნაური ამბებია ამ ბოლოს დროს, თუმცა-კი მოსალოდნელი იყო ასეთი ამბები. სამსავე სახელმწიფოში მრავალი მუშა ხალხი დარჩა უმუშაოდ და, მაშასადამე, ულუკმაპუროდაც. გამწარებულები, სხვა-და-სხვა ალაგას, განსაკუთრებით სატახტო ქალაქებში, ამბოხებასა და არეულობას ახდენენ და საშინელსა თხოულობენ. მთავრობანი-კი, თითქოს გონება დაჰკარგესო, ვერ მიმხვდარან, საქმეს როგორ უშველონ.

უფრო შესანიშნავი არეულობა მოხდა ბერლინსა, ვენასა, რომსა, გალიციასა, მორავიასა, სილეზიაში, გალიჩინაში, ბოჰემიაში, კენიგსბერგსა, ახენსა, დანელიგში და ბრაუნშვეგში. ვენაში ორმოც ათასამდე მუშა შეიკრიბა ქალაქის საბჭოს წინაშე და პურსა თხოულობდა. აქედამ იმპერატორის სასახლისაკენ დაიძრა და შემდეგ შინაგან მინისტრის სადგურთან გაჩერდა. გზა-გზა მუშებს შეტაკება მოუხდათ პოლიციასთან და ბევრი მაღაზიაც მილეწეს. სიმშილისაგან გამწარებულმა დედაკაცებმა ხომ საქმე გააჭირვეს. თვით იმპერატორის ფანჯრების წინ გამართეს „სიღარიბის პროცესია“, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დაბრანძული ბავშვები რამდენჯერმე აატარ-ჩამოატარეს სასახლის წინ.

ნაკლებ არ გამწვავებულა საქმე ბერლინში, სადაც ორის დღის განმავლობაში აღელვებული ხალხი მრავალს უწესოებას ახდენდა და ცხარე შეტაკებაცა ჰქონდა პოლიციასთან.

ზემოდ ვსთქვით, რომ ასეთი აწეწ-დაწეწა შინაურის საქმეებისა სამთა მოკავშირეთა სახელმწიფოში მოსალოდნელი იყო და, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, უსათუოდ უნდა მომხდარიყო. მილიტარიზმს, ანუ განუსაზღვრელს შეთოფ-იარაღებას თავისი მწარე ნაყოფი უსათუოდ უნდა მოეტანა და მოიტანა კიდეც. რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, მხედრობას ანდომებდნენ; ჯარების გამრავლებისა და უკეთესის იარაღისათვის არაფერს არა ჰზოგავდნენ; მომეტებული ნაწილი სახელმწიფო შემოსავლისა ჯარის მოსაწყობად იხარჯებოდა, სხვა სახელმწიფო მოთხოვნილება-კი უყურადღებოდ და დაუკმაყოფილებლად რჩებოდა. არც მეურნეობა და არც მრეწველობა წინ აღარ მიდიოდა. სამხედრო ხარჯი უზომოდ ჰმატულობდა; არა ჰმატულობდა მხოლოდ ერის სიმდიდრე. მაშასადამე დღე განკითხვისა, ადრე იქნებოდა თუ გვიან, უნდა დამდგარიყო.

საქმე იქამდის გამწვავდა, რომ იტალიის გულკეთილმა მეფემ უარი განაცხადა თავის ჯამაგირის მესამედს ნაწილზე, მაგრამ პარლამენტმა არ შეიწყნარა მეფის გარდაწყვეტილება. ისეც ნახევარზედ მეტს ჯამაგირს სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებას ანდომებს და ჯამაგირის მესამედზედაც უარი რომ სთქვას, მაშინ მეფეს სულ აღარა დარჩება-რაო.

გერმანიის ახალგაზდა იმპერატორიც უკეთესს გუნებაზედ არ არის. მთავრობის უკმაყოფილოთა რიცხვმა მეტად იმატა გერმანიაში, ძ იმათ დამშვიდების მაგიერ, იმპერატორმა ცეცხლს ნავთი გადაასხა. ერთს სადილზე საჯაროდ განაცხადა, ვსთხოვ, ვინც კმაყოფილი არა ბძანდება, ბუზღუნის მაგიერ, გერმანიიდგან მიბრძანდნენო. გაზეთებმა კიდევ გამოიანგარიშეს და უკმაყოფილოთა რიცხვი თურმე ოცს მილიონს აჭარბებს. ყველა უკმაყოფილონი რომ გადასახლდნენ, გერმანია, პირველ ხარისხოვან სახელმწიფოს მაგიერ, მესამე ხარისხოვანიც აღარ იქნებაო, ობუჯობენ გაზეთები.

მარტო საფრანგეთი გადარჩა ამ შავს დღეებს. საქმე იმაშია, რომ როდესაც საფრანგეთი შეუდგა თავის ჯარების გაძლიერებას, არც ერის სიმდიდრის მატებას აკლებდა ზრუნვას. ქონება და შეძლება საფრანგეთისა ისევე საკვირველად ჰმატულობდა, როგორც მისი სამხედრო ძალა. ქონებრივი გაძლიერება საფრანგეთისა ბრწყინვალედ დამტკიცდა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ 1889 წელს. გერმანიამაც მოისურვა გაემართა გამოფენა, მაგრამ ვერ მოახერხა. ან რა უნდა ეჩვენებინა ქვეყნისათვის, როდესაც საფრანგეთთან შედარებით გერმანიის მრეწველობა გამოსაჩენი არ იყო?!

წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ მილიტარიზმი დიდს უბედურებას უქადის ევროპის განათლებულს ქვეყნებს და მხოლოდ ის აიტანს იმის სიმძიმეს, ვინც ქონებრივად ღონიერია. ეს აზრი ცხადად დამტკიცდება, თუ შევადარებთ საფრანგეთისა და სამთა მოკავშირეთა ყოფა-ცხოვრებას ამ უკანასკნელს დროს.

ა. ფრონელი

---

## ახალი ამბავი

*** 26 თებერვალს წლიური კრება მოხდა აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებაზედ წაკითხული იქმნა „საზოგადოების“

---

# ფელეტონი

### ანტონ I, კათალიკოზი საქართველოსა.

(1744—1788)

დღეს, 29 თებერვალს, შესრულდა ას ოთხი წელიწადი მას შემდეგ, რაც ანტონ კათალიკოზი გარდაიცვალა ტფილისში, 1788 წ.

ერეკლე მეფეს შემდეგ, ანტონ კათალიკოზი უმთავრესი მოღვაწეა მე-XVIII საუკუნისა. მისმა მრავალ-ფეროვანმა და დაუშრომელმა მოღვაწეობამ მკვიდრი ბეჭედი დაასვა მთელს ჩვენს გონებრივსა, საეკკლესიოსა და საპოლიტიკო ყოფა-ცხოვრებას წარსულის საუკუნისას.

ანტონი, ერობაში თეიმურაზ, იყო ძე იესე მეფისა. დაიბადა 17 ოქტომბერს 1720 წ., ე. ი. იმავე წელსა ად თთვეს, რომელსაც დაიბადა მეორე და უმთავრესი გმირი მე-XVIII საუკუნოჲს ჩვენის ისტორიისა—ერეკლე მეფე. უკანასკნელმა პირველს „უსწრო ათის დღითა“ (დაიბადა 7 ოქტომბერს). ორნივე გმირნი შეკავშირებულნი იყვნენ მტკიცე კავშირით, რომლის დარღვევა თუმცა ბევრმა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან კავშირი მათი გარეგანი და შემთხვევითი-კი არ იყო, არამედ გამოწვეული თვით იმ დროინდელ ისტორიის მიმდინარეობით, ქვეყნისა და ერის სამსახურის საჭიროებით. რამდენადაც ერეკლე მეფე მოღვაწეობდა საქართველოჲს პოლიტიკურის გავლენის აღდგენისათვის, იმდენადვე ანტონი თავს იდებდა, რომ შემოეღო ევროპიული სწავლა-განათლება. ორივემ გვიჩვენეს ჭეშმარიტი გმირობა თავ-თავის ხვედრს საქმეში, ორივემ ცხადად მაგალითი დაგვანახვეს იმისა, თუ რამდენი შეუძლიან კაცს, უკეთუ გამსჭვალულია ჭეშმარიტის სიყვარულითა და შემკულია შრომის მოყვარეობით.

პატარაობითვე ანტონმა თავი შესწირა სწავლა-განათლებას. ჯერ დავით გარესჯის იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოში მიიღო განათლება წმიდა მამათა წიგნების კითხვით. მერე ბერად შედგა გელათის მონასტერში 1738 წ. და უფრო განკითარდა წმიდა მამათა ნაწერების შესწავლაში. 1740 წ. ქუთათლობა მისცეს, მაგრამ რადგან მე-XVIII საუკუნეს სომხეთში გავრცელდა სხოლასტიკური განათლება და საქართველოშიაც შემოვიდნენ ამ გვარ სწავლა-განათლების მოძღვარნი, ფრანგების განათლებული ბერები, ამის გამოცნობის მოყვარე ანტონმა 1743 წ. დასტოვა ქუთათელ მიტროპოლიტობა, ისევ უბრალო ბერობა ირჩია და ხელი მიჰყო სხოლასტიკურ წერილების შესწავლას პირველად სომხურის წყაროების შემწეობით და შემდეგ იმავე აზრით დაუახლოვდა თვით ლათინთა მისსიონერებს, ანუ „პატრებს“, „ფრანგებს“, როგორც ჩვენში უწოდებდნენ მათ, და წყურვიელად დაეწაფა ამ სხოლასტიკურს განათლებას.

მაგრამ ქართლ-კახეთის მეფეთ ხელ-ახლად გარიეს სიბრძნის მოყვარე ბერი ქვეყნის საქმეში და 1744 წ. აგვისტოს მიუბოძეს ოც-და-ოთხის წლის ანტონს კათალიკოზობა ქართლისა. ანტონი არა თანხმდებოდა და ეძნელებოდა ამ ძნელის უღელის ტვირთად აღება. ორის წლის წინადაც შეაძლიეს ანტონს იგივე დიდებული ხარისხი, მაგრამ მან არ მიიღო ახალგაზდობისა, თავმდაბლობისა და სწავლა-განათლების ტრფიალების გამო. ახლა-კი მეფე-დიდებულნი და უმაღლესი სამღვდელოება ქართლ-კახეთისა მხურვალედ სთხოვდნენ კვალად ანტონს ეტვირთნა ეს მძიმე ტვირთი. ასეთის თხოვნით იძულებული ანტონი მიიღებს კათალიკოზის ხარისხს და ეკურთხება მცხეთაში, რადგან მცხეთის გარეშე კურთხევა კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა ძველთაგანვე სასტიკად იყო აღკრძალული.

მრავალ-ფეროვანს მოღვაწეობას მიეცემა ახალგაზდა კათალიკოზი, მაგრამ ცხოვრების ტალღებში მყოფი არ ივიწყებს თავისს მუდმივის სულის კვეთების საგანს—მეცნიერებასა და სწავლა-განათლებას. ლათინთა მისსიონერები, ანუ „პატრები“ უფრო დაუახლოვდებიან და თითქმის დაუმეგობრდებიან ანტონს. მეცნიერებასთან ერთად იგინი თანდათან შთააგონებენ იმ აზრს, რომ ლათინთა ეკკლესია დიდებულია სწავლა-განათლებითა და განთქმული მეცნიერებითა, რომ ვითომ თვით რჯული ფრანგებისა ახლოსა სდგას მართლ-მადიდებლობასთან, და თუ საქართველოს ეკკლესია აღიარებს მხოლოდ რომის „პაპის“ უპირატესობას, დანარჩენი კერძოობა და წვლილი შეუცვლელად მიენიჭებათ ქართველთა, რომელნიც, იტყო-

1891 წლის ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს, რომ „საზოგადოებას“ 200 წევრი ჰყოლია. ქ-ნი ა. მ. თუმანოვ-წერეთლის მაგიერ, რომელმაც საზოგადოების თავმჯდომარეობას თავი დაანება, არჩეულ იქმნა ქ-ნი ბახმეტევისა. ბოლოს კრებამ ერთ-ხმად დაადგინა, რათა უწინდელი თავმჯდომარე საზოგადოებისა ა. მ. თუმანოვ-წერეთლისა საზოგადოების საპატიო წევრად იქმნას არჩეული და გაეგზავნოს დეპუტაცია საზოგადოებისაგან ხანგრძლივისა და სასარგებლო შრომისათვის მადლობის გამოსაცხადებლად.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „ხატის მიზეზი?“, მოთხრობა მოზრდილ ყმაწვილებისათვის, დაწერილი ბ ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნი პატარაა, სულ 15 გვერდს შეიცავს და ჰღირს ერთი შაური.

*** ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, რომ 8 თებერვლიდგან 15 თებერვლამდე ტფილისში ავად გამხდარა: ყვავილით 8 კაცი და ამათში 4 გარდაცვლილა, ხუნაგით—5, წითელათი—4 და შავის სხადით—1.

*** დამშეულთა სასარგებლოდ მეორე ლატარიის ბილეთები 27 თებერვლიდგან უკვე ისყიდება ტფილისს, კავკასიის საინჟენერო მმართველობისა და დედათა ინსტიტუტის კანცელარიებში, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან 2 საათამდე, უქმე დღეებს გარდა.

*** 27 თებერვალს ავჭალის ქუჩაზედ, სასტუმრო „ნეაპოლში“ შემდეგი უბედურება მოხდა: 26 თებერვალს ამ სასტუმროში ერთი კაცი და ერთი ქალი მივიდნენ, ღარიბად ჩაცმულნი, და ერთი ოთახი დაიქირავეს. საღამოზედ კაცი სადღაც წავიდა და სასტუმროში აღარ დაბრუნებულა. მეორე დღეს დილით სასტუმროს მოსამსახურეებს რაღაცა კვნესა მოესმათ, ხმაურობაზედ გამოვიდნენ სასტუმროს დერეფანში და ნახეს, რომ წინა დღეს მოსული ქალი დერეფანში ეგდო და საშინლად იტანჯებოდა. უცნობი ქალი იქვე გარდაიცვალა. მიზეზი ამ უცნაურის სიკვდილისა ჯერ არავინ იცის.

*** იმავე გაზეთს სწერენ სტამბოლიდგან, რომ ოსმალეთის მთავრობის ძალ-დატანებით პატრიარქმა აშიღიანმა ეპისკოპოსი ხორენ ნარბეი დასაჯაო.

*** თელავი: თელავიდგან სწერენ გაზეთს „არძაგანქს“, რომ რამდენსამე ახალგაზდა კაცს განზრახვა აქვს თელავში სამი საჯარო ლექცია წაიკითხონო. ლექციების შემოსავალი დანიშნულია: ნახევარი ადგილობრივის სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ და მეორე ნახევარი 6 იანვარს მომხდარის უბედურებით დაზარალებულთა სასარგებლოდაო.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, რომ მოსკოვში მცხოვრებს სომხებს განზრახვა აქვთ სომეხთა მწერალ შაჰ-აზიზიანის ოც-და-ათის წლის იუბილეი იდღესასწაულონ 9 აპრილსაო. ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის სომეხთა წიგნების გამომცემელს ამხანაგობასაც განზრახვა აქვს იმავე დღეს ტფილისში სალიტერატურო საღამო გამართოს იუბილიარის პატივსაცემლად.

*** გორი: ადრევე საბჭომ დაადგინა, რომ ვინც 1 მარტამდის, ან 1 აპრილამდის შემოიტანს დარჩენილს ფულს მამულების დაფასებისას, იმათ ნახევარი ჯარიმისა ეპატიებათო. ეს გარდაწყვეტილება იქნება ბევრმა არ იცოდეს. გაზეთის საშუალებით ვაცხადებთ, ამ გარდაწყვეტილებას მიაქციონ ყურადღება ქალაქის მცხოვრებლებმა და გადასახადი ფულისა შეიმსუბუქონ. იმათთვისაც ადვილია და ქალაქის კასისათვისაც სასარგებლოა.

*** სოფ. მცხეთა: ჩვენს სოფელში ძალიან გავრცელებულია წითელა და სხვა ავადმყოფობა, ისე რომ ერთს სახლს ვერა ჰნახავს ადამიანი, ავადმყოფი არ იწვეს, მაგრამ მშველელი-კი არავინ არის. თუმცა ჩვენს მაზრაში არის გამწესებული მთავრობისაგან მკურნალი, ჩვენ-კი არაფერს გვარგებს. სხვა სოფლელებიცა სჩივიან ამას. მოხდება ხოლმე, რომ წელიწადში ერთხელ ძლივს დაივლის სოფლებს, რადგან დიდი მაზრა აბარია, და აბა სად გასწვდება ყველა სოფელს?!

შარშან ზამთარშიაც ასე გახშირდა ავადმყოფობა და ჩვენი პატრონი არავინ იყო. გიორგობისთვეში გზაში მოკვდა ფოსტის მეეტლე. ეს შემთხვევა შეატყობინეს მაზრის უფროსს და იმანაც განკარგულება მოახდინა, რომ მკვდარი მკურნალს გაესინჯა. უცადეს რამდენიმე დღე და ის დიდხანს არ ჩამოვიდა. სიღეს მიცვალებული და მინდორში გათხრილ ორმოში ჩაასვენეს, ზედაც ფიცრები დააფარეს და მოუყენეს ორი დარაჯი. აბა ზამთრის სიცივეში ღამე რა ხეირი დაეყრებოდათ დარაჯებს! მართლაც, ერთი მათგანი გაციებული-ყო და თქვენა ჰირი წაიღო; დასტოვა ცოლი და შვილი უნუგეშოდ. ამ დარდს ვერ გაუძლო ცოლმა და ისიც ორი-სამის დღის უკან თან გაჰყვა.

ჩვენი ძველი დედა ქალაქი ამ ორი-სამის წლის წინად, ცოტა არ იყოს, არსებაში მოდიოდა. ახალმა წელიწადმა-კი კარგი ფეხი ვერ მოგვიტანა. ქუჩები ჩვენ არ გვივარგა, ხეხილები ზოგი გახმა და ზოგმაც იხეირა მხოლოდ ქუჩებში. ფარნები აქამდე ოც-და-ორი გვენთო და ეხლა სამიოდ-ოთხიოდე-ღა ჰბჟუტავს.

*** გაზეთს „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ სტამბოლელი კომპოზიტორი ჩუხაჩიანი პარიჟიდგან უკვე ტფილისს გამოემგზავრა და აქ ოპერეტტის წარმოდგენებს გაჰმართავს ფრანგულსა, სომხურსა და ოსმალურს ენაზედაო.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესად ებოძათ: კოლეჟსკი სოვეტნიკებს ტფილისის 2 გიმნაზიის მასწავლებელს ნიკოლოზ ივანიცკის და ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელს ტიმოთე რუბინსკის—სტატსკი სოვეტნიკობა; სტავროპოლის გუბერნიის სასოფლო სკოლების ინსპექტორს, ნადვორნი სოვეტნიკს ანტონ თვალჭრელიძეს—კოლეჟსკი სოვეტნიკობა; კავკასიის გიმნაზიის მასწავლებელს, კოლეჟსკი ასესორს ტიტე კახიძეს და ეკატერინოდარის გიმნაზიის მასწავლებელს კოლეჟსკი ასესორს ნიკოლოზ ჩეჩელოვს—ორივეს ნადვორნი სოვეტნიკობა; კოლეჟსკი ასესორებს: ნახიჩევანის სამოქალაქო მასწავლებელს მიხეილ ზედგინიძეს, ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებელს მიხეილ ნასიძეს და ზაქათალის სკოლის მასწავლებელს ტარასი რცხილაძეს—ყველას ნადვორნი სოვეტნიკობა. კოლეჟსკი სეკრეტრებს: ნახიჩევანის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელს ივანე ხუნდაძეს, ტემრიუკის სკოლის მასწავლებელს დავით გეორგიევს და ახალციხის სკოლის მასწავლებელს პეტრე ნაცვალოვს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა; გუბერნსკი სეკრეტარს: ყვირილის სკოლის მასწავლებელს თეოფანე ხუსკივაძეს — კოლეჟსკი სეკრეტრობა; კოლეჟსკი რეგისტრატორებს: ახალსენაკის სკოლის მასწავლებელს სპირიდონ ენუკიძეს და დუშეთ-თიონეთის პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებელს ბართლომე ხუციშვილს—გუბერნსკი სეკრეტრობა. დამტკიცებულ იქმნა კოლეჟსკი რეგისტრატორად გორის სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი სოლომონ ლაშაური. ქუთაის-სოხუმის ოლქის გზათა გამგეობის მოხელე ღულაძე დაინიშნა ამავე გამგეობის საქმეთა მწარმოებლად. ნოვობაიაზეთის სახაზინო ბუჰგალტერის თანაშემწე ტიტულიარნი სოვეტნიკი ტატიშვილი დაინიშნა იმავე სახაზინოს ბუჰგალტრად.

თავიანთისავე თხოვნის გამო დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან ტფილისის სასამართლო პალატის სტოლის უფროსი კოლეჟსკი რეგისტრატორი მოსე ანანოვი და პალატის მწერალი პეტრე ადამოვი.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან ერთის თვით გადით პეტერბურგს ბაქოს გუბერნატორის განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე ანტონ პავლეს ძე ოცხელი 12 თებერვლიდგან.

## დიდი სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ქ. ოზურგეთი.** ყველიერმა ერთობ მოწყენითა და უგემურად ჩაიარა: არც წარმოდგენა, არც კონცერტი, არც სალიტერატურო საღამო, ერთის სიტყვით, არაფერი ისეთი არ გამართულა, რომ ადამიანს გული გადაეყოლებინა და რამდენსამე საათს ფიქრით მაინც მოშორებოდა ყოველ-დღიურს ვარამსა და ვაგლახს. ვითომ მოინდომეს წარმოდგენის გამართვა, აარჩიეს პიესები, დაარიგეს როლები, გამართეს რეპიტიციები, დანიშნეს დღე, დაბეჭდვინეს აფიშები და... და რაღა და? მკითხველი თავის თავად უნდა მიხვდეს, რომ წარმოდგენა არ გაიმართა. მიზეზიო, იკითხავთ. მიზეზის დასახელება რაღა საჭიროა, როცა საქმე სამიზეზოდ გახდება! მიზეზი გახლდათ, რასაკვირველია, ჩვენი მოუთავსებლობა და ორ-გროშიანი თავ-მოყვარეობა, რის გამოც, არა თუ მარტო ამ წარმოდგენის საქმე, არამედ მრავალი სხვა სასიკეთო საქმე იფუშება და ილუპება ჩვენში. დიახ, წარმოდგენის წინა დღეს ერთმა განაცხადა, რომ მე შესაფერი როლი არა მაქვს; მეორემ სთქვა, ამ დღეს დღეობაა ჩემი და მე თითონ სტუმრები მეყოლება და დღესასწაული მექნებაო; მესამე ამბობდა, რუსული პიესა წარმოგვედგინა, აფიცრები მოვიდოდნენ, უამისოდ-კი შნო და ლაზათი დაგვაკლდებაო; მეოთხემ ამათ გამოსაჯავრებლად უკუღმართად წამოისროლა:

Какъ не садитесь,
А въ музыканты все-же не годитесь!..

და ამ ნაირად აირია მონასტერი და, ხომ მოგეხსენებათ, არეულს მონასტერში წესიერების ჩამოგდება დიდად ძნელია.

ადრე რამდენჯერმე გამართულა აქ წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით, მაგრამ ამ წარმოდგენათა შესახებ არავითარი ანგარიში არ იცის არავინ. ვგონებ საჭირო იყო, შეეტყო კაცს, თუ რომელს საქველ-მოქმედო საქმეს მოახმარეს შემოსავალი.

ასე თუ ისე, ყველიერი წავიდა და უამისოდაც მოწყენილნი ოზურგეთელნი უარესად მოწყენილი დასტოვა. შესანიშნავი და ყურადსაღები ამ დღეებში აქ მხოლოდ ის მოხდა, რომ ბაზარი ავსებით აივსო სხვა-და-სხვა გვარის დამპალის თევზითა და ყველით, რომელთ სიახლოვეს გარება ცხვირ-აუხოვლად შეუძლებელი იყო. რაღა ეს ექიურებოდა აქაურებს, რომ უიმისოდაც ათას გვარი სენი და დავიდარაბაა გაჩენილი და, ამას გარდა, ჯან-მრთელობის საქმე ჩვენის ქალაქისა დიდს განკარგებასა თხოულობს, თორემ დიდს განსაცდელს უქადის აქაურ მკვიდრთა ჯანმრთელობას.

ფირალების შესახებ, შემდეგ ქერეჯ-ოღლის გაძარცვისა სუფსაში, რაიცა უკვე მოხსენებული იყო თქვენს გაზეთში, არაფერი ვიცით. მაგრამ ერთი ამბავი, რომლის გამოც ბევრი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკია ჩვენში, ფირალთა არა ნაკლებ საყურადღე-

---

დნენ მცბიერნი, ამით გაბედნიერდებიან და გახდებიან თანაზიარნი ევროპის სწავლა-განათლებისა და ხელოვნებისაო. ესრედ-წოდებული „ფლორენციის ერთობა“, ანუ „ფლორენციის უნია“ მართლა სხვას არას ითხოვდა, გარდა პაპების უფროსობისა და „filiogue“-ს (სულის წმიდის ძისაგანცა გამოსლვის) აღსარებისა.

გატაცებული მოტრფიალე განათლებისა ანტონი მიეცა ცთომას და 1754—1755 წ. აღიარა ფლორენციის ერთობა, ანუ რომთა პაპების უფროსობა. ეს მოხდა საიდუმლოდ. კათალიკოზი სცდილობს სხვებიც მიიყოლიოს და საიდუმლოდ ავრცელებს განდგომილებას. რამდენიმე ეპისკოპოსი და მღვდელი შეაცდინა, შეაცდინა აგრეთვე რამდენიმე ერის კაციც. მაგრამ ხმა გავრცელდება, რომ იბერიის ეკკლესიისაგან განდგომილებას ჰქადაგებსო. მეფე არ იჯერებს, მაგრამ ხმა უფრო და უფრო ვრცელდება. უკანასკნელ, ექვს ქვეშე მყოფი მეფე, ამ საქმის გამომჟღავნებას მიანდობს გამოცდილს მღვდელთ-მთავარს ნინოწმიდელს საბას. საბა ვითომ აღსარების სათქმელად ეახლება კათალიკოზს და გამოუტყდება,—მწამს, რომ ჭეშმარიტია სარწმუნოება ფრანგთა და არავითარი დევნულება, არცა სიკვდილი ამის უარს ვერ მათქმევინებსო. კათალიკოზი სტყუვდება, საბას თავისს მოყვარე და თანამოზიარედ ჩასთვლის და მასთან მიწერ-მოწერას გაჰმართავს. საბა მაშინ მეფეს გაუმჟღავნებს ანტონის განდგომილების სამწუხარო ამბავს და დაასაბუთებს ბრალდებულებას ანტონის წერილებით.

მსწრაფლვე იქმნა კრება და განკვეთეს ანტონი, დაამხვეს საყდრისაგან, გაკრიჭეს და საპყრობილეს მისცეს. გაკრიჭეს ყველა მისი თანაზიარნიც (იმავე დროს ანტონის განდგომილების სასაცილოდ ასაგდებად დაიწერა ცნობილი სატირა: „კატის ომი“ ისააკ გაბაშვილისა). ანტონი გონებაზედ მოვა და სინანულით შეევედრება სამღვდელოთა კრებას შენდობასა და მიტევებას, მაგრამ კათალიკოზობას არ მისცემენ და ანტონ, მეფის ნება-დართვით, რუსეთში გადის 1756 წ. იქ შეუერთდება სხვა საპოლიტიკო წრეებს, იმათის შემწეობით თავს გაიმართლებს იმპერატრიცა ელისაბედის წინაშე და მიიღებს ვლადიმირის სამთავარ-ეპისკოპოზო კათედრას.

შვიდი წელიწადი დაჰყო ანტონმა რუსეთში და ამ ხნის განმავლობაში გადმოთარგმნა მრავალი წიგნი რუსულით, უმეტესად ის სასკოლო წიგნები, რომლითაც ასწავლიდნენ რუსულ სემინარიებში, და განიზრახა საქართველოში სემინარიის დაარსება რუსეთის სემინარიების მსგავსად. საქართველოში დაბრუნების იმედიც ჰქონდა, რადგან ერეკლე მეფე დიდი მფარველი იყო ანტონისა. 1760 წ. 1 აპრილს თეიმურაზ მეფე (რომელიც შეურიგებელ მტრად გადაექცა ანტონს განდგომილების შემდეგ) რუსეთში გადავიდა, იმპერატრიცას ეახლა და პეტერბურგში გარდაიცვალა 1762 წ. ახლა დრო დაუდგა ანტონს თავის გულის-თქმათა აღსრულებისა: მისწერა ერეკლეს ვედრებით წერილი, სთხოვა დაბრუნება საქართველოში იმავე 1762 წ. და ერეკლესაგანაც არ დაუგვიანდა პასუხი: მეფემ სამღვდელოების დაუკითხავად მოიწვია ანტონ კათალიკოზად. 30 დეკემბერს 1762 წელს უკანასკნელად გამოეთხოვა ანტონ თავის მოსკოველ ნაცნობ-ნათესავებს და მათ შორის უკვდავს ჩვენს მემატიანეს ვახუშტის (რომელიც გარდაიცვალა რუსეთში 1774 წ. და არა 1772 წ., როგორც ჰფიქრობენ) და წარმოემართა საქართველოში. 20 მარტს 1763 წ. იგი იყო საქართველოში, სადაც სამღვდელოება უგულოდ დაუხვდა ანტონს. 1764 წ. ანტონი ხელ-ახლად დაჯდა საკათალიკოზო საყდარზე.

იმავე წელს ანტონმა გადააკეთა ტფილისის სასულიერო სკოლა, რომელიც წინადაც არსებობდა, სემინარიად რუსულ სემინარიების მიხედვით და დანიშნა მასწავლებლები. ყველა სასკოლო წიგნები ხომ მზადა ჰქონდა. 1782 წ. თელავის სემინარიაც დააარსა. დიდის ხნის საეკკლესიო საქმეთა გამგეობის დროს ანტონმა გაავრცელა სხოლასტიკური განათლება საქართველოში, შეჰქმნა მთელი გუნდი განათლებულთა მოწაფეთა, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს ქართველთ მწერლობას. ამას გარდა, ანტონმა აღადგინა სტამბის საქმე, გაასწორა საეკკლესიო წიგნები და დაჰბეჭდა, დააარსა დიკასტერია (რუსეთის ეკკლესიის მიხედვით), დასწერა დარღვევა სომეხთა სარწმუნოებისა („მზა-მეტყველება“) და უკანასკნელ დიდი მონაწილეობა მიიღო იმ საპოლიტიკო მოძრაობაში, რომელმაც დაუკავშირა საქართველო რუსეთს 1783 წ. დადებულის ხელშეკრულობით.

—ეგრი—

ბოა, რადგანაც ამ მითქმა-მოთქმას თავისი საბუთი და საფუძველი აქვს, და ეს საფუძველი ის გახლავთ, რომ, რუსულის ანდაზისა არ იყოს, „კვამლს რა გააჩენს, თუ ცეცხლი არ იქნება“. საქმე ის არის, რომ მთელი აქაური ალემ-მიცემობის მიმდევარი ხალხი დრტვინავს და ლაღადებს, პატენტისა და სავაჭრო მოწმობის აღების დროს მანეთი და ზოგსაც ორი-სამი მანეთი მეტი გადაგვხდაო. ზოგი ამათგანი საჩივრის დაწყებას აპირებს, მაგრამ რა გამოვა ამ საჩივრისაგან, ჯერ-ჯერობით არ შეიძლება ითქვას. იმაშიკი ეჭვი არ არის, რომ ეს მეტისმეტად ზორბა ლუკმაა (რადგანაც ჩვენს მაზრაში, ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ათასამდე მოვაჭრე და ალებ-მიმცემი კაცი იქნება) და ამის გამო არა გვგონია ასეთი ლუკმა (თუმცა უძვლოა ეს ლუკმა) ყელზედ არ დაადგეს ვისმეს, მით უმეტეს, რომ მარტო წელს არ მომხდარა თურმე ასეთი სამწუხარო მაგალითი *).

ამ სახწუხარო ამბავთან მეორე უფრო სამწუხარო ამბავსაც მჭიდრო კავშირი აქვს და ბარემ ესეც უნდა აღვნიშნოთ. აი ეს ამბავი: 1888 წლიდგან გადაწყვეტილი და დაკანონებულია, რომ თითოეულმა მოვაჭრემ, გინდა ნოქარმა, რომელიცკი სავაჭრო მოწმობას იღებს, ერთი მანეთი ოზურგეთის დედათა სკოლის სასარგებლოდ გადიხადოს. ამ გადასახადზე უარს არავინ არ ამბობდა და რომ ეთქვა კიდეც, არ გაუვიდოდა. ამ ნაირად გადასახადი უკლისად იკრიბებოდა, მაგრამ დედათა სკოლის ხაზინადარს წელიწადში აძლევდნენ მხოლოდ რაღაც ორასს მანეთს და იმასაც დიდის მუნათით. ხაზინადარი გაკვირვებული და სახტად დარჩენილი იყო, რომ ამ ორასს მანეთს არასოდეს, არც ერთს წელიწადში, არც აკლდებოდა, არც ემატებოდა. მოსალოდნელი იყო-კი, რომ ან ერთი უნდა მომხდარიყო, ან მეორე. უფრო საფიქრებელი, რასაკვირველია, ის იყო, რომ გურიაში, სადაც ფირალობას გარდა, ალებ-მიცემობა ძლიერ გახშირებულია, სავაჭრო მოწმობა წელიწადში ორასზე მეტი გაიცემოდა ㈣, მაშასადამე, სკოლასაც ორასს მანეთზე მეტი უნდა რგებოდა. როგორც იქმნა, წელს მიაქცევინეს ამ გარემოებისათვის ყურადღება და რევიზია დაინიშნა. რა აღმოაჩინა ამ რევიზიამ, ჯერ არ ვიცით, მაგრამ უეჭველია, რომ სადღაცკი იქნება ძაღლის თავი დამარხული და ამ ადგილს დიდი ძებნაც არ მოუნდება, თუ-კი ისურვებენ. რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, იანგარიშონ, წელიწადში რამდენი სავაჭრო მოწმობა გაუციათ, და ამდენივე მანეთი იქნება გადახდილი დედათა სკოლის სასარგებლოდ. მიღებულის რიცხვიდგან გამოჰკრიბონ ორას-ორასი მანეთი, რომელიც ეძლეოდა სკოლას, და ამოცანა ამოცნობილი იქნება. სკოლის სასარგებლოდ გადახდილი ფული რომ ორას მანეთზედ მეტი იქნება და, რაღა თქმა უნდა, გამოკლებაც შესაძლებელი გახდება, ეს, ცხადი-კი არა, ცხადზედ უცხადესია.

ამ ნაირად, ეს ამიცანა, რომლის გამო ამდენი ლაპარაკია აქ, ისეთი მარტივია, რომ მოსამზადებელის კლასის თვით უჩლუნგესს შეგირდს შეუძლიან ამოიცნოს.

მაგრამ ჩვენ მაინც მოთმინება ვიქონიოთ და წინასწარ ნურაფერი წაგვცდება ამ ამბის გამო. ლეში თავისის უსიამოვნო სუნით მიიგნება.

კალამი

---

## წერილი ოდესიდამ

ამ წლის „ივერიის“ მე-6 №-ში მოხსენებული იყო ის უბედური ყოფა, რომელშიაც არიან ჩავარდნილნი ოდესაში ჩვენებური ქართველი მუშები ზოგიერთების, ისევ ჩვენებურისავე კაცების წყალობით. ამ წერილში ვრცლად იყო ნათქვამი, რომ ქართველი მუშები ზოგი თავის წინ-დაუხედაობით სცდება და ზოგს კიდევ სხვები აბრიყვებენ, მოდიან აქ იმ იმედით, რომ მრავალი სარგებლობა აქვთ აღთქმული ზემოხსენებულის ვაჟბატონებისაგან, და ბოლოს-კი გამოდის, რომ ის კეთილის-მყოფელნი ამ უბედურებს საკუთარის ჯიბისთვის ამუშავებენო. ავტორის სურვილი ის იყო, რომ საქართველოში ხმა გავრცელებინა, ამ გვარ დაპირებას ისე ადვილად ნუ აჰყვებით და საქართველოს მდიდარს ბუნებას ნუ სტოვებთო. არ ვიცი, შეუსრულდება ავტორს ეს წადილი, თუ არა, ის-კი ნამდვილია, რომ თუ ჩვენებური მუშები ამ სიშორედ გადმოხვეწილან, ალბად შინ რაიმე გაჭირვება უნდა ადგეთ. უბედურება ის-კი არ არის, რომ შორს მიდიან სამუშაოდ,—მაშ რა ჰქნან, რომ არ წავიდნენ, თუ-კი თავს ზევით ძალა აღარა აქვთ?—უბედურება ის არის, რომ აქ, ოდესაში, ჩაუცვივდებიან ხოლმე სხვა-დასხვა ოსტატ კაცებს და ისე იყვლიფებიან, რომ ქურდობისა, ავაზაკობისა და ლოთობის მეტი აღარა დარჩენიათ-რა ხოლმე.

ერთის ამისთანა ვაჟბატონის საქმე გაირჩა ამ დღეებში ოდესის ოლქის სასამართლოში ნაფიც მსაჯულების თანადასწრებით. ამ საქმემ აქაურის გაზეთების ყურადღებაც მიიქცია. აი ეს საქმე: აქ სცხოვრობს ვინმე ს. კეთილაძე, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, სრულებით არ ეთანხმება მის მოქმედებას. როგორც ჰხედავთ, ეს ბატონი ქართველი კაცია და ფრიად განთქმულიც... საჩივრებით ქართველ მუშებზედ. აქვს სარდაფი „ნამდვილის კახურის“ ღვინისა, რაღაც „ნომრები“ და ამას გარდა ნავთ-საყუდელში ამუშავებს ქართველ მუშებს. ისე კვირა არ გავა, რომ კეთილაძისა და რომელისამე ქართველის მუშის საქმე არ გაირჩეოდეს სასამართლოში. ერთი აქაური გაზეთი ამბობს, რომ ერთის უბნის მომრიგებელ-მოსამართლე თითქმის სულ კეთილაძის საჩივრებს უნდებაო. „აქამდის ბედი სწყალობდა და გამოცდილებას არც ერთხელ არ ულალატნიაო, ამბობს „Одесскій Листокъ“-ი: მაგრამ ამ დღეებშიკი სრულიად უბრალო საქმეზედ ისე ძლიერ მოუსხლტა ფეხი, რომ თავი მოაქექინაო“. კეთილაძე ვითომ სრულიად გაუსწორდა მელიტონ ჩარგეიშვილს, თავის ხელქვეით მუშას, მაგრამ ხუთს თუმანში მიცემული ვექსილი-კი დაავიწყდა. საკომერციო სასამართლოს საშუალებით ჩარგეიშვილმა მოაგონა „გულ-მავიწყს“ ბატონს ვექსილი და კეთილაძე დაიბარეს სასამართლოში პასუხის საგებლად. სასამართლოში კეთილაძემ უარი სთქვა ვექსილზედ, გამოაცხადა, ყალბიაო, და—არც აცივა და არც აცხელა—პირდაპირ ჩარგეიშვილს დააბრალა ყალბის ვექსილის მოხერხება. „წინ-დახედულს მუშების მოთავეს (არტელშჩიკს), განაგრძობს ზემოხსენებულივე გაზეთი: სრულებით გულიდგან გარდავარდნია სენატის, ბრძანება რომელიც გამოვიდა ბევრად გვიან, ვიდრე კეთილაძე დაიწყებდა თავისს მოღვაწეობას, და რომელიც ოდესის ოლქის სასამართლომ პირველად ამ შემთხვევაში გამოიყენაო. ბრძანება მოცემულია 1887 წ. და ამბობს, რომ უკეთუ ტყუილი გამოდგა იმ გვარი ჩვენება, როგორიც არის კეთილაძისა, ვითომ ჩარგეიშვილმა სიყალბე ჩაიდინაო, უნდა „ЛОЖНЫЙ ДОНОСЪ“-ად (ტყუილ დაბეზღებად) ჩაითვალოსო“.

ექსპერტიზამ ნათლად გამოარკვია და დაამტკიცა, რომ ვექსილი თითონ კეთილაძის ხელ-მოწერილიაო. აქაც იხმარა კეთილაძემ ხრიკი და უნდოდა თავის გამართლება: „მე არ დამიბრალებია ჩარგეიშვილისთვის ვექსილი სიყალბე, მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ ვექსილი ყალბიაო“, ამბობდა კეთილაძე, მაგრამ საკომერციო სასამართლოს ოქმიდგან აღმოჩნდა, რომ კეთილაძეს ვექსილის სიყალბე მართლა ჩარგეიშვილისთვის დაუბრალებია. თუმცა ნაფიცი ვექილი ანასტასიევი ბევრს ეცადა თავის კლიენტის განთავისუფლებას, მაგრამ სრული გამართლება მაინც ვერ მოახერხა. ნაფიცმა მსაჯულებმა კეთილაძე დამნაშავედ იცნეს, მაგრამ ამასთანავე შეწყნარების ღირსადაც დასახეს. ოლქის სასამართლომ მიიღო მხედველობაში შესაწყნარებელნი გარემოებანი და ბრალდებულს მხოლოდ სამის კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

---

## რუსეთი

დამშეულ გუბერნიებში, როგორც არა ერთხელა გვქონდა მოხსენებული, საქონლის გამოკვებას რომ ვერ ახერხებენ, ზოგსა ჰყიდიან და ზოგიც თითონვე იხოცება უსაჭმელობისა გამო. ამის მიზეზით თითქმის ყოველმა დამშეულმა გუბერნიამ მთავრობას მიჰმართა და დახმარებასა სთხოვს. მთავრობამაც შეიგნო, თუ საქონელი გამოეცალა გლეხ-კაცობას ხელიდგან, ძლიერ ცუდი საქმე დაემართებაო, და რითაც-კი შეუძლიან, სცდილობს ამ საქმისათვის. ეხლა განსაკუთრებულმა კომიტეტმაც დიდი ყურადღება მიაქცია ამ საგანს ამ წინაზე კომიტეტის კრებამ განიხილა მოხსენება სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა ამ საგნის თაობაზედ. შინაარსი ამ პროექტისა ჯერ-ჯერობით არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, მოსწონებია კომიტეტსა და შესაფერი და სათანადო განკარგულებაც მოუხდენია, რომ გლეხ-კაცობას ხელი შეუწყოს და დაეხმაროს საქონლის გამოკვებაში გაზაფხულამდე.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმძღვანელოდ იმ დაწესებულებათა, რომელთაც ხალხის გამოკვების საქმე აქვთ მინდობილი, დასწერა და გამოსცა წიგნი შემდეგის სათაურით: „შეღავათიანი და შემცირებული ტარიფები, შემოღებული რკინის გზებზედ 1891 წლის მოუსავლობის გამო“. ეს წიგნი დაიბეჭდა ამ რამდენისამე თთვის წინად და მას შემდეგ-კი, გარდა იმ წიგნში მოხსენებულებისა, მთავრობის განკარგულებისამებრ ბევრი სხვა საქონელიც იზიდება რკინის გზით შეღავათიანისა და შემცირებულის ტარიფით. ამის გამო საჭირო შეიქმნა, რომ ზემოხსენებული წიგნი შეევსოთ და მეორედ დაებეჭდათ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად პროექტს ამზადებს იმისას, რომ სოფლის მეურნეებს მთავრობამ სესხი აძლიოს უკეთესის ჯიშის საშენ ცხვრის სასყიდლად საზღვარ-გარედ.

— 1891 წლის განმავლობაში პეტერბურგის ზარაფხანამ სულ 6.446,668 მანათი ფული მოსჭრა ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა, ხოლო წინა წელს 30.371,856 მანათი. შემცირდა განსაკუთრებით ოქროს ფულის ჭრა.

— საგეოგრაფიო საზოგადოებამ დაიწყო გამოკვლევა და შესწავლა მინდვრების მორწყვის უკეთეს ღონისძიებათა. ამ საგნისათვის „საზოგადოებამ“ ერთ-ერთი თავისი წევრი გაჰგზავნა სამგზავროდ ეგვიპტესა, ალჟირსა, იტალიასა და საფრანგეთში.

---

## უცხოეთი

**საბერძნეთი.** ეხლა ხან ათინიდგან დეპეშით იუწყებოდნენ: მეფემ უთხრა დელიანისის სამინისტროს, სამსახურიდგან გადადეგიო, მაგრამ დელიანისმა უპასუხა: ჩემით-კი არ გადავდგები, რადგან უმრავლესობა პალატისა ჩემი მომხრეა, და თუ გნებავთ, როგორც მეფემ, თქვენით დამითხოვეთო.

ამ ამბავს შემდეგ მეფემ თავისით დაითხოვა სამსახურიდგან დელიანისის სამინისტრო და ახალის კაბინეტის შედგენა მიანდო ადრევ მინისტრპრეზიდენტად ნამყოფს ტრიკუპისს. რადგან ტრიკუპისმა არ იკისრა ეს საქმე, მეფემ ახლა პალატის საშუალო დასის მეთაურს კონსტანტინოპულოსს მიჰმართა. კონსტანტინოპულოსმა მალე შეადგინა კაბინეტი, რომელმაც 18 თებერვალს ფიცი უკვე დასდო.

მიზეზი ამ ამბისა შემდეგი გარემოება იყო. ამას წინად საბერძნეთში ფანატიკოსები დაეცნენ პროტესტანტთა ეკკლესიას და აიკლეს. სწორედ ამავე დროს საბერძნეთის პალატაში გაცხარებული კამათი იყო გამართული ბიუჯეტის თაობაზე. ოპპოზიცია ბრალსა სდებდა სამინისტროს, უკანონოდა გაქვს შედგენილი ბიუჯეტიო, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, პირდაპირ სიყალბესა სწამებდა. ფინანსთა მინისტრმა კარაპანოსმა უპასუხა, ტყუილს ბრალს გვდებთ, ბიუჯეტი სრულიად კანონიერად არის შედგენილიო. გაცხარდა ამაზე ოპპოზიციის მეთაური ტრიკუპისი და პირდაპირ განაცხადა, მაშ რაა, თუ არა სიყალბე, რომ ბიუჯეტში 1892 წლის 21 მილიონი ფრანკი დეფიციტი არ არის მოხსენებულიო. ტრიკუპისი ამასთანავე ამტკიცებდა, რომ ეხლანდელმა სამინისტრომ საბერძნეთი თითქმის მთლად გააკოტრაო. ტრიკუპისს შემდეგ ილაპარაკა დელიანისმა. მართალიაო, სთქვა მინისტრ-პრეზიდენტმა: საბერძნეთი ამ ჟამად ძლიერ გაჭირვებულია ფულის მხრივ, მაგრამ ამისი მიზეზი წინანდელის სამინისტროს უუნარობა და ბერლინის ბირჟის ხრიკებიაო. მე ხელში საბუთიცა მაქვს იმისი, რომ წინანდელი მინისტრები და აწინდელი მეთაურები ოპპოზიციისა ლონდონსა და პარიჟში იმას სცდილობდნენ, რომ საბერძნეთის ფინანსების საქმე სრულიად წაეხდინათ და ამ ღონისძიებით ბოლო მოეღოთ ეხლანდელის სამინისტროსათვისაო.

დელიანისის სიტყვა ძლიერ მოჰხვდათ გულზე პალატის წევრებს, რომლებმაც ოვაცია-ც-კი გაუმართეს ამის გამო დელიანისს. მაგრამ ამ გარემოებამ საბერძნეთის ფინანსებს ვერა უშველა-რა. წამხდარი საქმე ისევ წამხდრად დარჩა, ბირჟა აშფოთდა და რკინის გზების ობლიგაციებისა და სხვა ქაღალდების კურსმა დაიწია.

თუ რა გაჭირვებაშია ჩავარდნილი საბერძნეთი ფინანსების მხრივ, ეს შემდეგის გარამოებიდგანაც ნათლადა სჩანს. წარსულის წლის მეორე ნახევარში ზოგი ისეთი თთვე გამოერია, რომ პირეის სატამოჟნოს სრულიად შემოსავალი არა ჰქონდა-რა.

დელიანისის სამინისტრომ ვერა გააწყო-რა ამ საფინანსო კრიზისთან, რომელიც იქნება მართლა ბრალიც იყოს წინანდელის სამინისტროსი და იმის „მეგობრებისა“.

ფინანსების საქმეს ხომ ვერ გაუძლვა და ვერ გაუძლვა დელიანისის სამინისტრო, მაგრამ ამასთანავე ვერც ბევრი სხვა საქმე წარმართა ამაზედ უკეთესად. მაგალითად, როცა საბერძნეთსა და ბოლგარიას შორის ბრძოლა იყო ატეხილი რუმელიის სკოლების თაობაზე, დელიანისის სამინისტრო ძლიერ დუნედ და გაუბედავად იქცეოდა. ბოლგარიელნი სცდილობდნენ თავიანთი გაეყვანათ მაკედონიაში ㈣ საბერძნეთი-კი ამ დროს თითქმის სრულიად ვერავითარს წინააღმდეგობასა და მეტოქეობას ვერ უწევდა. თითქმის ასეთივე გაუბედაობა და სიდუნე ეტყობოდა დელიანისის სამინისტროს ბალკანეთის სხვა სახელმწიფოთა შესახებს საქმეებშიც. ყველაფერს ისე აკეთებდნენ, თითქოს თავისის თავისა თითონვე არა სჯერათ-რაო.

რაკი საქმე ამ ვითარებაში ჩავარდა, საბერძნეთის მეფე იძულებული შეიქმნა, წინადადება მიეცა დელიანისის სამინისტროსათვის, სამსახურიდგან გადადეგიო, მიუხედავად იმისაც-კი, რომ უმრავლესობას პალატისას დელიანისის მხარე ეჭირა.

შეიძლება და საფიქრებელიცაა, რომ კონსტანტინოპულოსის სამინისტრო დიდხანს ვერ გასტანს და ადრე თუ მალე ტრიკუპისს უნდა დაუთმოს თავისი ადგილი. მოსალოდნელია, რომ პალატა დათხოვნილ იქმნება, რათა ახალის არჩევანების შემწეობით ტრიკუპისმა უმრავლესობა თავისკენ მიიმხროს.

ასეა თუ ისე, მაინცა ㈣ მაინც დელიანისის სამინისტროს ამ სახით გადაყენება სამსახურიდგან ძლიერ სამწუხარო ნიშანია და იმასა ჰმოწმობს, რომ საბერძნეთის საქმე ამ ჟამად მეტის-მეტად არეულ-დარეულია.

---

*) კორესპონდენტმა ეს ამბავი, თუ მაინცა და მაინც უნდა, სამწუხაროდ მიიჩნიოს, ჩვენკი აქ ვერაფერს სამწუხაროს ვერა ვხედავთ, რადგანაც თვალებზედ გვეფარება ის თქმულება, რომელიც ამბობს: „ქურდის ქურდი ცხონებულიაო“.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

## წვრილი ამბავი

### ჰაერის ხომალდი

ვგონებთ ჩქარა გადასწყდეს და ბოლო მოეღოს იმ ამოცანას, რომელსაც აგერ რამდენიმე საუკუნეა თავს აკლავს კაცობრიობა. მართლაც-და იმედაა, რომ 1893 წელს ნამდვილად ჰაერის ხომალდი ამერიკიდგან ევროპაში გადაფრინდება, როგორც გამოანგარიშებულია, სულ ერთის დღე-ღამის განმავლობაში. თუმცა ძნელად დასაჯერებელია ეს ამბავი, მაგრამ მაინც იძულებულნი ვართ ვირწმუნოთ, რადგანაც არა თუ მარტო გაზეთებმა, არამედ სწავლულებმა, გამოჩენილმა ხუროთ-მოძღვრებმა და თვით შეერთებულ შტატების კონგრესმაც-კი მოიწონეს აზრი ამ ჰაერის ხომალდის გამომგონისა. ეს გამომგონი საფრანგეთის ექიმია, არტურ დე-ბოსსე, რომელსაც ათი წლიწადი ამერიკაში უცხოვრნია და თითქმის ამდენივე ხანი უმუშავნია თავისის ჰაერის ხომალდის მოსაგვარ-მოსასრულებლად. ამ ჰაერის ხომალდს ეწოდება „ჰაეროპლანი“. პატენტების დაწესებულებამ ვაშინგტონისამ, რომელიც მხოლოდ იმას აძლევს პატენტს, ვინც ნიმუშს წარუდგენს ხოლმე თავის მიერ გამოგონილის მანქანისას, უნიმუშოდ მისცა ასეთივე პატენტი დოქტორს არტურს, რომელმაც მარტო ნახატები წარუდგინა თავისის ჰაეროპლანისა. ჰაეროპლანი არაფრით ჰგავს ჰაეროსტატს, სიგრძით 104 საჟენია და სიგანით $20^1/_2$ საჟ. ქვემოდგან ნავი აქვს მიბმული, სიგრძით 35 საჟენი, სიგანითა და სიმაღლით ოთხ-ოთხი საჟენი. ნავის ზემო ბაქანზედ 300-მდე კაცი ეტევა და აქავეა ელექტრონის მანქანა ჰაერის დასაცლელად, რომ მოძრაობაში მოვიდეს რვა დიდი, უშველებელი ზეროლო და საჭეთი მოქმედებს შეიძლებოდეს. ბოსსეს ჰაეროპლანი, როდესაც ჰაერიდგან იცლება, თვით ჰაერზედ მსუბუქია და ამიტომ, არხიმედის კანონის თანახმად, ჰაერში ფრენა უნდა შეეძლოს. როცა ჰაეროპლანის აწევა უნდათ მაღლა, ჰაერისაგან სცლიან, და როცა მირს დაწევა, ჰაერით ავსებენ ცოტ-ცოტა. ჰაერის სენაკი იტონს 150 ტონნს *) და 276 ტონნს ჰაერს იტევს, ასე რომ სენავს შეუძლიან, თავისის სიმძიმის გარდა, 126 ტონნიც სხვა ჰზიდოს. სენავი ექვსის განყოფილებისაგან შესდგება და აქეთ-იქით გვერდებზედ ორი ფრთა აქვს გაკეთებული, რომელიც პარაშიუტსავით ჰმოქმედებს. ექიმს არტურ დე-ბოსსეს, რომელიც „Electric Club of Boston“-ის პრეზიდენტად ითვლება, იმედი აქვს ამერიკის მსოფლიო გამოფენისათვის მოასწროს თავისი ჰაეროპლანი. ექიმ არტურის პლანი და ნახატები მოიწონეს პენემ, მთავარმა ხუროთ-მოძღვარმა, მათემატიკოსმა კოლბერმა, გამოჩენილმა ხუროთ-მოძღვარმა მელვილმა და სხვა მეცნიერთა. დოქტორს ბოსსეს მთავრობისაგან 300,000 მანათი აქვს სუბსიდიად დანიშნული თავისის ჰაეროპლანის მოსამზადებლად.

### წერილები რედაქციის მიმართ

I

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა, როგორც ჩემის მხრით, ისე ჩემის პატარა შეგირდების მაგიერადაც, ყველა იმათ, რომელთაც დ. ყვირილის საზოგადოებაში, ბ-ნ თეოფ. ხუსკივაძის თაოსნობით, უნებებიათ ფულის შეკრება და, სხვა სკოლებ შორის, ჩემდა რწმუნებულის დედათა სკოლისათვისაც გამოუწერიათ ამა 1892 წ. ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის პირველი ნომერი უკვე მივიღე და გარდავეცი საკითხავად შეგირდებს.

მასწავლებელი ნინო თურქია

დ. ყვირილა

II

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო კ. თ—მეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდა რწმუნებულის სასწავლებლის ბიბლიოთეკას ათი ცალი ქართული წიგნი: „ამპარტავანი გიორგი“ (ლეგენდა გარშინისა). ნათარგმნი რუსულიდგან.

ლანჩხუთის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი დავით კერესელიძე.

*) ერთი ტონნი 65 ფუთს უდრის.

## დეპეშა

28 თებერვალი

ვენა. ნავთ-სადგურის უქმმა მუშა ხალხმა გუშინ ტრიესტში რამდენიმე უწესოება მოახდინა.

ლონდონი. რაც ანაც ქვის ნახშირის მთხრელთაგან მოსალოდნელია, რომ პირობას შეჰკრავენ და მუშაობაზე ხელს აიღებენ, ამიტომ რკინეულობის მკეთებელმა მექარხნეებმა დაიწყეს წარმოების შეჩერება შაბათამდე. ამბობენ, 83 ქარხანათაგან უკვე 70-მა შეაჩერა წარმოებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 21 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — ,, | 7, 02 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | 158 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1, 16 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | $236^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | $226^1/_4$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | $198^1/_4$ | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2 „ „ „
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „
ჯვარის მამის პურის ლავაში.
1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

## განცხადებანი

### სიმრთელის კიდობანი

ოჯახში საკითხ-სახმარებელი სამკურნალო წიგნი, შედგენილი ილია სულაქველიძისაგან და განხილული პეტერბურგში მკურნალთა რჩევაში, თითო წიგნი 1 მანეთად ისყიდება:

ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში, გორში — არსენ კალანდაძისაში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა და წერეთლისაში, ბათუმში—ნიკოლაძისაში და ფოთში—ძმათა ნოდიათა წიგნის მაღაზიაში, ბექათუბანში—ანდრია შაიშმელაშვილთან; ყვირილაში—იორდანე ცერცვაძესთან; სამტრედიაში—კონსტანტინე ვაჩეიშვილთან; ნაგომარში—ა. კილურაძესთან; ფოთში—ავტორთან.

ვინც იყიდის 20 ცალს ნაღდს ფულზე, თითო ცალი 80 კ. დაუთმობა.

(8—4)



КРАСКА для ВОЛОСЪ В. ГЕНА въ ВѢНѢ изъ ГРЕЦКИХЪ ОРѢХОВЪ.
ОХРАНИТЕЛЬНАЯ МАРКА.
БЕЗВРЕДНОЕ СРЕДСТВО ДЛЯ БЫСТРАГО ОКРАШИВАНІЯ ВОЛОСЪ и БОРОДЫ въ ЧЕРНЫЙ РУСЫЙ, ТЕМНО- и СВѢТЛО-КАШТАНОВЫЙ ЦВѢТЪ.
ЦѢНА ЗА ФЛАКОНЪ съ ПЕРЕСЫЛКОЙ 3 Р.
ГЛАВН. СКЛАДЪ ДЛЯ РОССІИ В. АУРИХЪ въ С. ПЕТЕРБУРГѢ КОЛОКОЛЬНАЯ 18.

(10—6)

### პირველი ზეთის გამოსახდელი ქარხანა ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქალ. ტფილისში.

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება ნარდად მყიდველთათვის **ზეთები**: ა) საჭმელად: შირბახტისა, სელისა, სოკოსი, კანაფისა, ბ) კანდელისა, გ) მოხარშული, საღებავ წამლებისთვის, აგრეთვე ჩენჩო ძროხებისა და ხარების საკვებად. წვრილ წვრილად შირბახტის ზეთი გირვანქიან და ორ გირვანქიან შუშებით ისყიდება შემდეგს მაღაზიებში: 1) სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, 2) კოვანის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ და ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, 3) ზ. ალიხანოვთან, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ. 4) ე. მირზახანოვთან პუშკინის ქუჩაზე, 5) გრ. ბეჟანოვთან მიხეილის ქუჩა, 6) დ. მაკაროვთან ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, 7) ჯარჯაროვთან, გოლოვინის პროსპექტი, ორბელიანის სახლის პირდაპირ და 8) სარაჯოვთან გოლოვინის პროსპექტი, ბაბანასოვის სახლი. ყოველგვარ ზეთის წვრილ წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარს საწყობებში: 1) იარმუკაზე, ბუდაღოვის სახლში, ყასბების გვერდზე, 2) თათრის მოედანი, ქალაქის ფიცრის ფარდული, 3) ოლგას ქუჩა, მებურნუთოვის სახლი, ქვის ნახშირის საწყობთან და 4) ავლაბრის მოედანი, ქალაქის ფიცრულის ფარდული № 1. (10—4)

კერძო ექიმი

### პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—4)

### გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

## ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბოროტი“ და ჰღირს 40 კაპ.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1892 ГОДЪ

ГОДЪ 2-Й ГОДЪ 2-Й

НА ЛИТЕРАТУРНО-ИСТОРИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

## ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ.

12 книгъ въ годъ,—ежемѣсячно не менѣе 400 страницъ большаго формата.

„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ“ издается въ 1892 году въ томъ же объемѣ и по той же программѣ, какъ издавался въ прошломъ году, а именно: 1) романы, повѣсти и всякаго рода произведенія художественной литературы; 2) историческіе разсказы, біографіи, мемуары и всякаго рода очерки по исторіи культуры; 3) путешествія, географическіе и нравоописательные очерки и 4) смѣсь, анекдоты, извѣстія, объявленія.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПРЕЖНЯЯ:**

съ доставкою и пересылкою: на годъ—4 руб., на 6 мѣсяцевъ—2 руб., безъ доставки и пересылки: на годъ—3 руб. 50 коп., на 6 мѣсяцевъ—1 руб. 75 коп. Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за поручительствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи „Вѣстника Иностранной Литературы“. Гостиный дворъ, Зеркальная линія, № 64, Магазинъ П. Ѳ. Пантелеева (противъ Пажескаго Корпуса), въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородние благоволятъ адресоваться въ Редакцію журнала, С.-Петербургъ, Верейская улица, домъ № 15, собственный.

Редакторъ **А. Н. Энгельгардтъ**. Издатель **Г. Ѳ. Пантелеевъ**.

### ნამდვილი ბენზოეს საპონი მქ. ლენგილიასი ვენაში

ისყიდება ყოველს საათფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

(20—7)